

საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის
დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

გთუნი



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

დამტკიცებულია რექტორის მიერ

01-01/48

03.06.2019

პრეამბულა

გთუნის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტი პროგრამის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სავალდებულო კომპონენტია. კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გთუნის დოკუმენტების „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი“ (ბრძანება 01/01/09. 10.02. 2017) და „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი“ (ბრძანება № 01-01/65 10.12. 2013 წ.) საფუძველზე შექმნილ, განახლებულ და სისტემატიზებულ ვერსიას, ჩამოყალიბებულს ერთ სამართლებრივ აქტად.

წესი მოიცავს გთუნში მოქმედი პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე.

თავი I. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი -სამაგისტრო ნაშრომი

1. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი.
2. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.
4. სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის ორიგინალური კვლევა/ნაშრომი; პასუხისმგებლობა მისი შესრულების ხარისხზე ეკისრება სტუდენტს.

მუხლი 2. დაშვების წინაპირობა

1. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევით კომპონენტის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტით

გათვალისწინებულ პირობებს აკმაყოფილებენ და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაცვამდე დააგროვებენ შესაბამის კრედიტებს ყველა სავალდებულო საგანში.

2. მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტათათვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობას განსაზღვრავს ფაკულტეტი.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომი

1. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
4. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 50 გვერდი.
5. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, კერძოდ:
 - დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას;
 - სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
 - ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.
6. სამაგისტრო ნაშრომისათვის მისანიჭებელ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები/პროგრამები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 4. სამაგისტრო კვლევის თემა

1. სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მესამე სემესტრის დასაწყისში, შესაბამისი კათედრის/პროგრამული მიმართულების მიერ განსაზღვრული თემატიკების ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალადან.
2. ამ პერიოდში ხდება მაგისტრანტისა და იმ პროფესორის მოსაზრებათა შეჯერება, რომელიც შემდგომ უხელმძღვანელებს მის სამაგისტრო ნაშრომს. ამისთვის მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს პროფესორის საკონსულტაციო საათებით.
3. მაგისტრანტს უფლება აქვს მესამე სემესტრის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს არჩეული თემის დასახელების კორექტირება ან თემატიკის ჩამონათვალში ახალი დასახელების თემის დამატება.
4. მეოთხე სემესტრის დასაწყისში (არაუგვიანეს 1 კვირისა) სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გთუნი-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
2. სამაგისტრო ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს კონსულტანტი.
3. ხელმძღვანელი ვალდებულია:
 - დაეხმაროს მაგისტრანტს სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დაზუსტებაში.
 - პერიოდულად შეამოწმოს თემაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას მოსაზრებები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები.
 - განუმარტოს მაგისტრანტს უფლება-მოვალეობები.
 - გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება.
4. ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს წერილობით დასკვნას, რომელშიც ასახული უნდა იქნეს:
 - ა) ნაშრომის სათაური;
 - ბ) მაგისტრანტის ვინაობა;
 - გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
 - დ) მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-ჩვევები;
 - ე) ნაშრომის ზოგადი შეფასება;
 - ვ) ნაშრომის კათედრაზე წინასწარი განხილვის რეკომენდაციები;
 - ზ) ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;თ) დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.
5. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოყოფს ახალ ხელმძღვანელს.
6. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია (წინასწარი განხილვა) და წარდგენა

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კათედრის/პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის და დეკანის გადაწყვეტილებით ინიშნება ნაშრომის წინასწარი განხილვა (წინასწარი დაცვა- აპრობაცია).
2. წინასწარ განხილვაზე სამაგისტრო ნაშრომს წარადგენს მაგისტრანტი. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარდგენა.
3. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიის შემადგენლობას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.

4. კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.
5. კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც კათედრის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
6. კომისია ნაშრომის განხილვისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:
 - ა) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
 - ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
 - გ) შესრულებული სამუშაოს მოცულობა;
7. წინასწარი განხილვის საფუძველზე კომისია თავის დასკვნაში, განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შესაძლო ვადებს. კომისიის დასკვნა აისახება კათედრის გაფართოებული სხდომის ოქმში.
8. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში კათედრა დეკანატის გადაწყვეტილებით, ნიშნავს დამატებით განხილვას, იმის გათვალისწინებით, რომ არ დაირღვეს ნაშრომის საჯარო დაცვისთვის წარდგენის ვადები.
9. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად, საჯარო დაცვამდე არა უგვიანეს ორი კვირისა, წარედგინება კათედრას/პროგრამულ მიმართულებას რეცენზირებისთვის.
10. თუ სამაგისტრო ნაშრომის დასრულება, ვერ ხორციელდება არასაპატიო მიზეზით შესაძლო ვადებში, მაგისტრანტი მიმდინარე სემესტრში არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე და მისი შეფასება იქნება F - „ჩაიჭრა“.
11. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო ვადებში დაუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს, იმავე სამაგისტრო ნაშრომზე, მუშაობა გააგრძელოს შემდეგი ორი წლის განმავლობაში დამატებითი საფასურის გარეშე.
12. წინასწარი განხილვის შემდეგ, არა უგვიანეს ორი კვირისა მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის კათედრაზე/პროგრამულ მიმართულებაზე.
13. სამაგისტრო ნაშრომის საპატიო მიზეზით დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება მხოლოდ დამატებით დაცვაზე.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

1. კათედრა/პროგრამული მიმართულება გამოყოფს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს.
2. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.
3. რეცენზენტი კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ფორმდება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით.
4. რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.
5. რეცენზენტი, დაცვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, წარმოადგენს ნაშრომზე წერილობით რეცენზიას დასკვნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესაძლებლობის შესახებ.

6. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
 - ა) თემის აქტუალობა, ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია;
 - ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
 - გ) ნაშრომის შესრულების დონე.
7. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო, თუმცა კომისიას ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა.
8. რეცენზენტის უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
2. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას დამსწრეთა 3/5-ის არსებობის შემთხვევაში.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ მუხლი 10. მიხედვით.
5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
 - სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15 წუთი);
 - კითხვა-პასუხს;
 - დისკუსიას;
 - შეფასებას.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე.
2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა:

**პროგრამის მიხედვით და მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია დამატებითი ან განსახვავებული კრიტერიუმების შემუშავება.*

კრიტერიუმი	კომისიის წევრის კომენტარი	მაქსიმალური ქულა
სტრუქტურა <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაშრომის ყველა კომპონენტი ლოგიკურ კავშირშია კვლევის მიზანსა და ამოცანებთან 		20
კვლევა <ul style="list-style-type: none"> ▪ მეთოდოლოგია ▪ შესრულების ხარისხი 		20

ლიტერატურა		15
<ul style="list-style-type: none"> ▪ ლიტერატურის რელევანტურობა საკვლევ თემასთან. ▪ ლიტერატურის სიახლე. 		
არგუმენტაცია		20
<ul style="list-style-type: none"> ▪ არგუმენტაციის უნარი ▪ კრიტიკული აზროვნების უნარი ▪ დასაბუთების უნარი ▪ დასკვნების ფორმულირების უნარი 		
ნაშრომის აკადემიზმი		15
<ul style="list-style-type: none"> ▪ აკადემიური წერის უნარი ▪ ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა ▪ აზრის, ინფორმაციის გადმოცემის უნარი 		
ზეპირი პრეზენტაციის უნარი		10
<ul style="list-style-type: none"> ▪ ზეპირი პრეზენტაციის უნარი ▪ არგუმენტირების უნარი 		

3. შეფასების ქულების განაწილება

91-100%	ნაშრომის სტრუქტურა ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი იყენებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევა, კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები.
81-90%	ნაშრომის სტრუქტურა უმეტესად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და უმეტესად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი უმეტესად ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები უმეტესად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები.
71-80%	ნაშრომის სტრუქტურის ნაწილი მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია კონკრეტული კომპონენტები; დაცულია ფორმატი; დამაკმაყოფილებლად შესრულებულ ნაწილში აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და დამაკმაყოფილებელია მისი შესაბამისობა საკვლევ თემატიკასთან; სტუდენტი ნაწილობრივ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ნაწილობრივ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან;

	პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა.
61-70%	ნაშრომის სტრუქტურა მეტნაკლებად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და მეტნაკლებად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი ავლენს პროგრამის მიღებული თეორიული ცოდნის საშუალო დონეზე ფლობას; მეტნაკლებად ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები მეტნაკლებად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან, თუმცა აშკარაა, რომ აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტების სიღრმისეული გააზრება; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს.
51-60%	ნაშრომის სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა ნაკლებად აკადემიურია და ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას; სტუდენტი ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის დაბალ დონეზე ფლობას; ნაწილობრივ ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, თუმცა ნაშრომში უმეტესად მოცემულია მშრალი ფაქტები; კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იმეორებს ნაშრომის სხვადასხვა კომპონენტებს და აკლია გააზრება და ანალიზი; კვლევის მიგნებები არ არის სრულად ჩამოყალიბებული; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტია, აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს;
41-50%	ნაშრომის სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტული და ბუნდოვანია, არ არის მოთხოვნის ადეკვატური; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა არა აკადემიურია და უმეტესად არ შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი არ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; არ კვლევს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები არაადეკვატურია მოცემულ ინფორმაციასთან მიმართებით; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტი და არადამაჯერებელია/ არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს;
0-40%	ნაშრომი არ არის წარმოდგენილი ან სრულიად შეუსაბამოა მოთხოვნებთან.

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს კომისიის სხდომა იხურება.
- კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების შესახებ მაგისტრანტებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრე ბისთანავე.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
- ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F_x) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება.
2. სტუდენტს უფლება აქვს დამატებით დაცვაზე გავიდეს იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
3. თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შეადგენს 40 ქულას და ნაკლებს (F) სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე არ დაიშვება და მის შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ გამოცხადების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით დაცვაზე.
5. საპატიო მიზეზით დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იგივე სამაგისტრო ნაშრომი კათედრის რეკომენდაციის საფუძველზე დაიცვას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
6. უარყოფითი შეფასების მიღებისას მაგისტრანტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, კათედრის რეკომენდაციით, შეასრულოს იგივე სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს ნაშრომის ხელახალი მომზადება-დაცვა, ნაშრომისთვის განკუთვნილი კრედიტების შესაბამისად.
7. სტუდენტს, რომელმაც დადგენილ ვადებში ვერ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელლობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 11. პლაგიატი

1. პლაგიატი - ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, კვლევის შედეგების და სხვა გამოყენება არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე).
2. პლაგიატის აღმოჩენისა და დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება.
3. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით დააფინანსოს ნაშრომის მომზადება.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი

1. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული).
2. სამაგისტრო ნაშრომი გაფორმებული უნდა იქნეს „სტუდენტის წერითი ნაშრომების შესრულების სტანდარტის“ შესაბამისად.

თავი II. საბაკალავრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული და/ან პრაქტიკული ხასიათის მცირე კვლევით ნაშრომს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, ის არ არის ჯგუფური პროექტი.
3. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 25 გვერდი.
4. საბაკალავრო ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, კერძოდ:
 - შერჩეული ძირითადი სპეციალობის ფარგლებში ერთ-ერთი თეორიული საკითხის ფართო ცოდნა;
 - კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციის/ინსტრუქციის მიხედვით;
 - ახალი მონაცემების და /ან სიტუაციების ანალიზის უნარი, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული ახალი მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი;
 - საკუთარი ცოდნისა და მოსაზრებების დამაჯერებლად და გასაგებად წარმოდგენის უნარი
5. საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია სილაბუსში.
6. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ბაკალავრიატში სწავლის ბოლო (მერვე) სემესტრში.
7. საბაკალავრო ნაშრომისათვის მინიჭებულ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის თემა

1. საბაკალავრო ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს შესაბამისი კათედრის მიერ განსაზღვრულ თემატიკის ფარგლებში, რის შემდეგაც მტკიცდება კონკრეტული თემა (სათაურის სამუშაო ვერსია);
2. საბაკალავრო თემას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს რექტორი;
3. ნაშრომის თემის შეცვლა ან სათაურში ცვლილებების შეტანა დასაშვებია საკვლევი თემის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში და მტკიცდება ამ მუხლის მე-2 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს გოუნის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, შესაძლებელია ნაშრომის ხელმძღვანელად დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პედაგოგი.
3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაკულტეტის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით.
4. ხელმძღვანელი დახმარებას უწევს სტუდენტს ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკის შედგენაში, ნაშრომის სტრუქტურის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებსა და აძლევს სტუდენტს სათანადო რეკომენდაციებს.
5. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს, აგრეთვე უარის განაცხადის ვადის გონივრულობას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამტკიცებს ახალ ხელმძღვანელს.
6. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.
7. ხელმძღვანელი ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას ამ დოკუმენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება შეფასების 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა (მაქსიმალური შეფასების %)	შეფასება
91% და მეტი	A - ფრიადი
81-90%	B - ძალიან კარგი
71-80%	C - კარგი
61-70%	D - დამაკმაყოფილებელი
51-60%	E - საკმარისი
41-50%	Fx - ვერ ჩააბარა
40% და ნაკლები	F - ჩაიჭრა

2. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების საფუძველზე და წარმოადგენს მათ ჯამს.
3. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა-60; საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვი მაქსიმალური ქულაა -40 .
4. ქულათა გადანაწილება შეფასების კომპონენტების მიხედვით:

კომპონენტები:	
1. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის შეფასება	20 ქულა

2. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის, სტანდარტების დაცვის შეფასება	40 ქულა
3. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა	40ქულა
4. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება	100ქულა

მუხლი 5. შუალედური შეფასება:

1. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის შეფასება

- მოიცავს ნაშრომის სტრუქტურას, მიზანს, პრობლემას/საკითხს, ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის შერჩეულ მეთოდებს და ხდება მე-8 სემესტრის მე-6 კვირაში.
- კომპონენტის შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი და შედეგებს წარუდგენს შესაბამის კათედრას. შეფასების მაქსიმალური ქულაა- 20.
- შეფასების კრიტერიუმებია (შენიშვნა:საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია თავად შეიმუშაოს კრიტერიუმები ან შეიტანოს ცვლილებები მოცემულ სქემაში, რაც გაწერილი უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.)

კრიტერიუმები	20 ქულა
1. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი	4
▪ სტუდენტმა გამოავლინა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი	4
▪ სტუდენტი არსებითად იყო დამოკიდებული ხელმძღვანელის რჩევებსა და რეკომენდაციებზე	2-3
▪ სტუდენტს გაუჭირდა დამოუკიდებლად მუშაობა	0-1
2. ნაშრომის მიზნისა და სტრუქტურის შესაბამისობა	4
▪ ნაშრომის მიზანი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია	4
▪ ნაშრომის მიზანი და სტრუქტურა არ არის სრულ შესაბამისობაში	2-3
▪ ნაშრომის მიზანი და სტრუქტურა შეუსაბამოა	0-1
3. პრობლემის/საკითხის გაცნობიერება-გააზრების დონე	4
▪ საკვლევი საკითხი და პრობლემები სრულად გაცნობიერებული და გააზრებულია	4
▪ საკვლევი საკითხი და პრობლემები ძირითადად გაცნობიერებული და გააზრებულია	2-3
▪ საკვლევი საკითხი და პრობლემები გაცნობიერებული და გააზრებულია არასათანადოდ	0-1
4. წყაროებთან მუშაობის უნარები	4
▪ სტუდენტმა დაამუშავა საკმარისი რაოდენობის ვალიდური და სანდო წყარო, კარგად ფლობს მათზე მუშაობის უნარს	4
▪ სტუდენტმა დაამუშავა საკმარისი რაოდენობის ვალიდური და სანდო წყარო, თუმცა არასათანადოდ ფლობს მათზე მუშაობის უნარს	2-3

▪ სტუდენტმა დაამუშავა წყაროების მწირი რაოდენობა და არასათანადოდ ფლობს მათზე მუშაობის უნარს	0-1
5. კვლევის შერჩეული მეთოდები	4
▪ კვლევის მეთოდები შესაფერისი და სანდოა, სტუდენტი მართებულად იყენებს მათ	4
▪ კვლევის მეთოდები არ არის შესაფერისი და სანდოა, სტუდენტი არასრულად იყენებს მათ	2-3
▪ კვლევის მეთოდები არ შეესაბამება საკვლევ საკითხს	0-1

2. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარისა და სტანდარტების დაცვის შეფასება

- ნაშრომის შინაარსობრივი მხარისა და სტანდარტების დაცვის შეფასება ტარდება მე-8 სემესტრის მე-14 კვირაში და ფასდება 40 ქულით.
- შეფასება ხორციელდება კათედრაზე/პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც თავად განსაზღვრავს შეფასების ფორმას (ზეპირი მოსმენა, მოხსენება, წერილობითი ანგარიში და სხვა).
- ამ კომპონენტით შეფასებისთვის ნაშრომის აკინძული სახით წარდგენა არ არის აუცილებელი.
- ამ კომპონენტით განსაზღვრული შეფასების ქულა კათედრის წევრთა (არანაკლებ სამისა) შეფასებების საშუალო არითმეტიკულის ტოლია. კათედრა კომპონენტის შეფასებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე (შენიშვნა:კათედრა უფლებამოსილია დამოუკიდებლად შეიმუშაოს კრიტერიუმები.

კრიტერიუმები	40 ქულა
1. პრობლემის განსაზღვრა და კვლევა	8
▪ კვლევის საგანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიგინალური	6-8
▪ კვლევის საგანი ნათლად არის ჩამოყალიბებული თუმცა არ არის ორიგინალური	3-5
▪ კვლევის საგანი ბუნდოვანია	0-2
2. მეთოდოლოგია	8
▪ ნაშრომი ეფუძნება შესაფერის მეთოდოლოგიას, რომელიც მართებულად არის გამოყენებული	6-8
▪ ნაშრომი ეფუძნება შესაფერის მეთოდოლოგიას, რაც ნაწილობრივ მართებულად არის გამოყენებული	3-5
▪ გამოყენებული მეთოდოლოგია არავალიდური და არასანდოა	0-2
3. მონაცემების ხარისხი და ანალიზი	8
▪ ნაშრომი ეფუძნება მრავალფეროვან და სანდო მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც გაანალიზებულია კარგად	6-8
▪ ნაშრომი ეფუძნება სანდო მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც გაანალიზებულია საშუალოდ	3-5
▪ ნაშრომში გამოყენებული მონაცემები/ფაქტები/ინფორმაცია და მათი ანალიზი მწირია	0-2
4. დასკვნები	8
▪ დასკვნები ჩამოყალიბებულია არგუმენტირებულად	6-8
▪ დასკვნებს აკლია არგუმენტირება	3-5
▪ დასკვნები არა არგუმენტირებულია	0-2

5. ნაშრომის აკადემიზმი	8
▪ ნაშრომი სრულად შეესაბამება გთუნის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს	6-8
▪ ნაშრომი ნაწილობრივ შეესაბამება გთუნის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს	3-5
▪ ნაშრომი შესრულებულია გთუნის მიერ განსაზღვრულ სტანდარტების არსებითი ან სრული დარღვევით	0-2

მუხლი 6. დასკვნითი შეფასება - საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების III, დასკვნითი კომპონენტია და ხორციელდება საჯაროდ, კომისიის წინაშე; დაცვის პროცედურა ემყარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს;
2. სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე დაიშვება, თუ მის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს 31-ს ან მეტს;
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს ფაკულტეტი და დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და წვდომის მოქმედი წესის შესაბამისად;
4. განსაკუთრებული შემთხვევაში ფაკულტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის გადავადების შესახებ;
5. სტუდენტი ვალდებულია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე, ნაშრომის ერთი (აკინძული) ეგზემპლარი გადასცეს შესაბამის კათედრას/პროგრამულ მიმართულებას.

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას, დეკანის წარდგინების საფუძველზე, განსაზღვრავს რექტორი.
2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორი ან მის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი.
3. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 15 საბაკალავრო ნაშრომზე მეტის დაცვა; დღის განმავლობაში დასაშვებია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება.
4. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;
5. დაცვის პროცედურის დოკუმენტაციის (სხდომის ოქმი, უწყისები) წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას;
2. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
 - საბაკალავრო ნაშრომის წარდგენას (მაქსიმუმ 10 წუთი);
 - კითხვა-პასუხს;
 - დისკუსიას;
 - შეფასებას.
3. დაცვის პროცედურა გულისხმობს, აგრეთვე, საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას, რომლის დროსაც სხდომა დამსწრეთათვის იხურება;

4. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

კრიტერიუმები	40 ქულა
პრეზენტაციის სტრუქტურა	10
▪ პრეზენტაციის სტრუქტურა კარგად არის დაბალანსებული და შეესაბამება შინაარსს	7-10
▪ პრეზენტაციის სტრუქტურა დამაკმაყოფილებლად არის დაბალანსებული და შეესაბამება შინაარსს	3-6
▪ პრეზენტაციის სტრუქტურა კარგად არის დაბალანსებული და შეესაბამება შინაარსს	0-2
ნაშრომის შინაარსი	10
▪ ნაშრომის შინაარსი, საკვლევი თემა, მეთოდები და მონაცემები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული	7-10
▪ ნაშრომის შინაარსი, საკვლევი თემა, მეთოდები და მონაცემები არასათანადოდ ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული	3-6
▪ ნაშრომის შინაარსი, საკვლევი თემა, მეთოდები და მონაცემები ბუნდოვანია ან არადამაკმაყოფილებლად არის ჩამოყალიბებული	0-2
გამოყენებული წყაროები	10
▪ პრეზენტაცია ეფუძნება მრავალფეროვან და რელევანტურ მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც გაანალიზებულია კარგად	7-10
▪ პრეზენტაცია ეფუძნება ნაწილობრივ რელევანტურ მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც გაანალიზებულია საშუალოდ	3-6
▪ პრეზენტაცია ეფუძნება მწირ და არასაკმარისად რელევანტურ მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც გაანალიზებულია კარგად	0-2
დასკვნები, კითხვებზე პასუხი	10
▪ დასკვნები კარგად არის არგუმენტირებული, პასუხები დამაჯერებელია	7-10
▪ დასკვნები არგუმენტირებულია დამაკმაყოფილებლად, პასუხები ნაკლებად დამაჯერებელია	3-6
▪ დასკვნები და პასუხები არარგუმენტირებული და არადამაჯერებელია	0-2

5. კომისიის გადაწყვეტილებას საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და საბოლოო შეფასების შესახებ, სტუდენტს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე;
6. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი;
7. საბაკალავრო ნაშრომი ითვლება შესრულებულად თუ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია სტუდენტს ანიჭებს 20 ქულას ან მეტს და შეფასების კომპონენტებში მიღებული და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულათა ჯამი, ანუ საბოლოო შეფასება იქნება 51 ან მეტი; თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 41-50 (Fx) სტუდენტს ეძლევა საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება;
8. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით;
9. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, დამატებით ერთხელ გავიდეს საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე.

მუხლი 9. საბაკალავრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

1. მე-8 მუხლის მე-8-9 პუნქტებით განსაზღვრულ პირს, უფლება აქვს დამატებით დაცვაზე გავიდეს იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.
2. დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F“ (ჩაიჭრა).
3. უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღებისას სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს საბაკალავრო ნაშრომის ხელახალი მომზადება;
4. სტუდენტი, რომელმაც ვერ დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. საბაკალავრო ნაშრომზე აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 10. პლაგიატის დაუშვებლობა

1. პლაგიატი plagiatus (ლათ.-მიტაცებული) ნიშნავს ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების და სხვა. გამოყენებას არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე);
2. პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებოთ დაშვებული;
3. პლაგიატის აღმოჩენისა და დადასტურების ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი საბაკალავრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს საბაკალავრო ნაშრომის ხელახალი მომზადება.

მუხლი 11. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება

საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება უნდა მოხდეს „სტუდენტთა წერიტი ნაშრომების შესრულების სტანდარტის“ შესაბამისად.